თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4482943

ნომერი: AR1678503

თარიღი : 01.05.2019

გაცემის თარიღი : 02.05.2019

გაცნობის თარიღი : 16.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო უბანი. , (ნაკვ. 11/16) ; ქალაქი თბილისი , წყნეთის სატყეო უბანი. , (ნაკვ.11/20);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ნიშნიანიძე პ/ნ 01008005544
- ბაგები

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი # AR1678503 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ბაგების სატყეო უბანი, საკადასტრო კოდი: 01.14.08.011.183 მშენებლობის ნებართვის გაცემას და ითხოვთ მომართვის შემთხვევაში წარომოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2019 წლის 24 აპრილის #4348560 ბრძანებით, ქ. თბილისში, ბაგების სატყეო უბანი, (ნაკვ. 11/16) ; ქალაქი თბილისი , წყნეთის სატყეო უბანი , (ნაკვ.11/20), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.14.08.011.176), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ვინაიდან ზემოაღნიშნული აქტები სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის
საკადასტრო კოდის, ან სამსახურის პასუხის ძიებაში განაცხადის ნომრების მითითების შემთხვევაში.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ
გაასაჩივროთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.